# ცნობის ფურცელი

№ 2143 სამშაბათი, 6 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2143

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

**ქნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე თავადი

**კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი.**

ცხედარს გამოასვენებენ 7 მაისს, დილის 11 საათზე და ხუთშაბათს, 8 მაისს, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში დაჰკრძალვენ. წირვა მცხეთის ტაძარში დაიწყება დილის 10 საათზე. (0—4)

**ვასილ საჩინოს ძე კევლიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფასის მეუღლის

**ვერა გიორგის ასულის კევლიშვილისას**

დასაფლავება მოხდება 8 მაისს, დილის 9 საათზე საჩხერეში. (1—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.**

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

**ვ. ი. ფიფინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მუღინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

**ნ. ნ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^1/_2$—$12^1/_2$.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ვ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

**ზ. ვ. ავალიანოვი**—საშვილოსნოსა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**მრ. ვ. სობოლევსკი**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

**ნ. ნ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ჯანიშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 374 (წლ.

ექიმი

## ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ექიმი

## ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი იაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ქართული თეატრი.

კვირას, 11 მაისს, 1903 წ.

ქართულ თეატრის არტისტები

**თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილისა**

(იუჟინის)

და

**მოსკოვის სამმხატვრო თეატრის არტისტების მონაწილეობით**

გამართავენ წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება:

I

მეოთხე მოქმედება სუმბათაშვილის კომედიიდან

## ᲙᲐᲖᲐᲘᲐᲜᲘ

II

მეორე მოქმედება ცაგარლის კომედიიდან

## ხანუმა

III

ქართული ხალხური სიმღერები

და ცეკვა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთების ყიდვა ამ თავითვე შეიძლება თეატრის კასაში, ყოველ დღე.

დასაწყისი 9 საათზე

საღამოს გამგენი: გ. აბაშიძე, გ. მესხი

(3—1)

მებრილიანტე

## კ. დ. კობახიძე

მდაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმანოვისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.

(3—6—2)

## საზღვარ-გარედ

**ბალკანეთი.** ეხლა მონასტირში გახურებულა რევოლიუციონერების მოქმედება:

„მონასტირში მაკედონელ რევოლიუციონერების **ჯგუფი** მოულოდნელად თავს დაესხა მაჰმადიანებს. ყუმბარები აღარ უხმარიათ, მაგრამ თოფი კი ბევრი უსვრიათ იმ მიზნით, რომ დიდი ხოცვა-ჟლეტა გამოეწვიათ და შური ეძიათ სოლუნში ვაჟლეტილ ხალხისა. ამ ჟლეტაზე გაზეთებში ნაკლები ცნობებია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სოლუნელ ბოლგარებს ერთობ ძვირად დაუჯდათ რევოლიუციონერების მოქმედება.

მონასტირიდან დეპეშით ატყობინებენ ბელგრადელ გაზეთებს: ოთხშაბათს, დილის ოთხ საათზე თოფის წამლის საწყობის ახლო აფეთქება მოხდა, რომელსაც ნიადაგის შერყევა მოჰყვა. მთელ ქალაქში ფანჯრებია დალეწილი. შიშმა აიტანა მთელი მცხოვრებლები; კვამლის სქელი ღრუბლები მოედო მთელ ქალაქს; ქუჩები ხალხით აივსო. მონასტირის ახლო რევოლიუციონერებმა ამოსწყვიტეს მთელი სოფელი. ეხლა შედარებით მშვიდობიანობა დამყარდა, მაგრამ ვერ არის დასაჯერებელი, რადგან ცნობა მოვიდა, რომ მთელ ქალაქში ვაჭრობა შეჩერებულია".

◆ სოლუნში ეხლა სამხედრო სასამართლო მოქმედებს. პირველ დღესვე ოცდა ათი ბოლგარელი დახვრიტეს—ყუმბარებს ისროდნენო. გაზეთის კორესპონდენტები კი ამტკიცებენ—უმთავრესი დამნაშავენი არ არიან დაპატიმრებულნიო.

◆ ქ. კიუპრიულში დინამიტის ყუმბარებით ააფეთქეს მაჰმადიანთა სამლოცველო; ნანგრევებ ქვეშ დაიღუპა ორასამდე მლოცველი. ყუმბარის მსროლელმა გვარად პოპოვმა დამბაჩით თავი მოიკლა და დასტოვა წერილი—ავასრულე მაკედონელთა კომიტეტის ნებაო.

◆ ცნობილ მიხაილოვსკის შემდეგი წერილი დაუსტამბავს ვენურ გაზეთ „ინფორმაციონ"-ში:

„არა ერთხელ გამიზიარებია ვენაში დიპლომატებისა და გაზეთებისათვის ჩემი შეხედულება მაკედონიის საქმის შესახებ და ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ სერიოზული პოლიტიკური და ადმინისტრატიული რეფორმა შესძლებს დაამშვიდოს და დააწყნაროს მაკედონელი სლავები-მეთქი. ქრისტიანებს, რაის უნდა მიეცე იგივე უფლებანი, როგორიც მაჰმადიანებს აქვთ; ოსმალეთში არ უნდა იყოს გაბატონებული ხალხი, ენა ან სარწმუნოება. ბერლინის კონგრესს არ გაუუმჯობესებია მაკედონელების მდგომარეობა, უკანასკნელი რეფორმები მხოლოდ დაცინვა იყო და მეტი არაფერი. განა შეიძლება გავკიცხოთ მაკედონელები იმისთვის, რომ უფლება მოკლებულ მდგომარეობით მოთმინებიდან გამოსულებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი? რევოლიუციონერების რაზმის ერთი უფროსი, გმირი, რომლის მამაცობამ და ენერგიამ ყველა განცვიფრებაში მოიყვანა,

## ფელეტონი

### ოც-და ცხრა უკვდავი ამერიკელი*)

ქალაქ ნიუ-იორკის მახლობლად, გუდსონის მშვენიერ ნაპირზე, ამართულია უდიდესი სასახლე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა. ეს სასახლე დაჰყურებს მწვანე ველს, სადაც აქა-იქ მოთავსებულია უნივერსიტეტის სხვა შენობანი. მეორე მხარეს გადაშლილია თვალწარმტაცი სურათი გუდსონისა თავისი ანკარა წყალით, მწვანე მობიბინე მინდორ-ველით.

ყოველ კვირა-უქმე დღეს აუარებელი ხალხი მოედინება ნიუ-იორკიდან არა მხოლოდ ამ მეცნიერების ტაძრის სანახავად, რომელიც ხუროთ-მოძღვრების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, არა მხოლოდ ბუნების სიმშვენიერით დასატკბობად, არამედ ამ ხალხს იზიდავს რკალის მგზავსად შემორტყმული უმშვენიერესი სვეტებიანი დარბაზი, ბიბლიოთეკის უკან ბუმბერაზად ამოყვანილი: ეს არის დიდება და თავმოყვარეობა ნიუ-იორკელთა, ეს არის ამერიკელთა პირველი „ტაძარი დიდებისა", სადაც საუკუნოდ შენახულა ხსოვნა 29 ამერიკელ „უკვდავთა". ამ მხრივ ამერიკელები არ ჩამორჩნენ ფრანგებს, რომელთაც მიჰბაძეს მოღვაწეთა ღირსეულ დაფასებაში, ხოლო იმ განსხვავებით, რომ პირველნი არჩევენ უკვდავთა მორის არა უადრეს 10 წლისა მათის სიკვდილის შემდეგ, მეორენი-კი, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ირჩევენ ყოველ ღირსეულ ფრანგს, იმის მიუხედავად ცოცხალია თუ მკვდარი მათგან არჩეული.

როგორც მოგახსენეთ, მრავალი ამერიკელი მიეშურება ამ ტაძრისაკენ თავ-მოყვარეობის გრძნობის დასაკმაყოფილებლად და იმ აზრის შესამოწმებლად, რომ ახალგაზდა ამერიკასაც შესძლებია უდიდეს ნიჭთა შექმნა.

ამ ტაძრის აშენება ნახევარი მილიონი დაჯდა. საჭირო ფული შესწირა ერთმა უცნობმა ნიუ-იორკელმა ქალმა (ჰფიქრობენ—ელენე ჰულდმა) შემდეგის პირობით: სვეტებსა და სვეტებს შუა მოთავსებულ 150 ტაბულოზე, ანუ ლითონის ფიცარზე 100 წლის განმავლობაში უნდა დაიწეროს ამდენივე სახელი გამოჩენილ პირთა, აწინდელ ამერიკის რესპუბლიკის საზღვრებში დაბადებულთა; კანდიდატების დასახელება შეუძლიან ყოველ კერძო პირს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, უნივერსიტეტის საბჭოებს და ყოველ გვარ დაწესებულებათ; დასახელებულ კანდიდატთ კენჭს უყრის უნივერსიტეტის სენატი, 100 წევრისაგან შემდგარი, და ირჩევს იმას, ვინც მიიღებს არა ნაკლებ 51 ხმისა.

პირველი არჩევანი მოხდა 1900 წელს, უნდა აერჩიათ 50 უკვდავი, მაგრამ ამორჩეულ იქმნა მხოლოდ 29, თუმცა 1000-ზე მეტი კანდიდატი იყო წარდგენილი არჩეულთა რიცხვში 7 სახელმწიფო მოღვაწეა, 3 იურისტი, 3 ჯარის კაცი, 2 მეცნიერი, 3 აღმომაჩენელი მეცნიერებაში თუ ტეხნიკაში, 3 ღვთის მეტყველი, 4 მწერალი, 1 პედაგოგი, 2 ფილანტროპი და ერთი მხატვარი.

ხი, ის ოც-და ცხრა პირი, უმრავლესობისაგან არჩეული, რომელთაც თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით წაუშლელი კვალი დაუტოვებიათ სიცოცხლეში და რომლებითაც თავი მოაქვს ყოველ ამერიკელს.

დიდ სულოვანი ადამიანი, სხვათა შორის, იმით განირჩევა უბრალო მომაკვდავისაგან, რომ მისს მოღვაწეობას ეკარგება კერძო ნაციონალური ხასიათი და ეძლევა მსოფლიო მნიშვნელობა; მისი გავლენა ვერა თავსდება ვიწრო ნაციონალურ ფარგალში და ერთნაირის სარგებლობით ეხება ყველას და ყოველგან, განურჩევლად დრო-ჟამისა, მანძილისა, ხალხოსნობისა... მათზეა ზედ გამოჭრილი სიტყვები ჩვენის სასიქადულო პოეტისა:

ვარდთა და ნეხვთა განატგან
მზე სწორედ მოეფინების—
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოეწყინების.

ამიტომ ფრანგებმა—ამ წარჩინებულმა მოწინავე ერმა—და მასთან ერთად ამერიკელებმა ღირს ჰყვეს დიდი მოღვაწენი დაეჯილდოვებინათ „უკვდავის" ხელით და მათი ხსენება გაეუკვდავებინათ „დიდების ტაძარში." ეს არის ჯერ-ჯერობით უდიდესი ჯილდო ღირსეულ მოღვაწეთა. სწორედ ამ უკვდავების სახელით იყო გატაცებული დაუნდობელი ჰეროსტრატი, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა და დასწვა უმშვენიერესი დიანას ტაძარი! მაგრამ იმ უგუნურმა ის კი ვეღარ მოისაზრა, რომ მისი ხსენება მხოლოდ ზიზღს გამოიწვევდა ისტორიაში.

სასარგებლო უნდა იყვეს ათასში 29 რჩეულთა მოღვაწეობის მოკლედ მაინც გაცნობა, მით უფრო, რომ ზოგიერთის სახელი ქართულს მწერლობაში ცნობილნი არიან.

1) **ჯორჯ ვაშინგტონი** იყო მდიდარი ფერმერი (მემამულე), რომელმაც სარდლობაში გენიოსის ნიჭი გამოიჩინა და თავისუფლება მოუპოვა სამშობლო ქვეყანას. იგი ორჯელ ზედი-ზედ იქმნა არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტად, მესამედ არჩევანზე უარი განაცხადა და სიცოცხლის უკანასკნელი დღენი ფერმაში გაატარა.

2) **აბრამ ლინკოლნი** ჯერ ადვოკატობდა, შემდეგ არჩეულ იქმნა პრეზიდენტად; დიდი სახელი გაითქვა რესპუბლიკის მომხრეთა და მონობის უარ-მყოფელთა შორის; იმან მოსპო შავ-კანიანების მონობა. ადმინისტრატორის ნიჭი გამოიჩინა ხუთ-წლოვან შინაურ ომიანობის დროს, როდესაც სამხრეთ-შტატებმა

---

*) მასალას ვიღებთ ამავე სათაურის რუბინოვის სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნ. „Образованіе"-ს მე-10 № ში.

სხვათა შორის, მწერდა: „ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ცხოვრება ოსმალების წინანდელ მტარვალობის ქვეშ. ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენის ხალხის ძალთა ამოწყვეტამდე. თუ ევროპას აღარ აქვს მეტი საშუალება დაიცვას საქრისტიანო ცივილიზაცია—ჩვენის ძალღონით დავიცავთ მას. ოსმალეთის სამარცხვინო რეჟიმს ჩვენ ვუყენებთ წინ სიკვდილს“.

რასაკვირველია, მე არა ვარ მომხრე ისეთ მოქმედებისა, როგორსაც უკანასკნელად სოლუნში ჰქონდა ადგილი. ჩემს დღეში ტერორისმის მომხრე არ ვყოფილვარ—ეს კარგად იციან როგორც სოფიაში, ისე საზღვარგარედაც. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ ხალხთან, რომელიც უნდა ებრძოლოს ბარბაროსულ მტარვალობას და რად უნდა გვიკვირდეს, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მაკედონელებმა მიჰმართეს უკიდურეს საშუალებას. ამ ბრძოლის ბრალი ედებათ დიდ სახელმწიფოებს: ამათ არ ისურვეს მიმხვდარიყვნენ, რომ ოსმალეთში რეფორმების შემოღებამდე აუცილებელი იყო თვით ოსმალეთის თავის რეფორმა.

გერმანელი ფილოსოფოსები ამბობენ, რომ ახალი სამართალი აღმოცენდება მხოლოდ ძველის უსიცოცხლო გვამზე. ეს სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ, საუბედუროთ, დიპლომატები უარსყოფენ, რასაც ფილოსოფოსები ამტკიცებენ. ევროპიელ დიპლომატებმა მოინდომეს დაეკავშირებიათ ორი ყოვლად შეუკავშირებელი საგანი: თავისუფლების თანამედროვე პრინციპი და, მაჰმადიანური თვითნებობა. დიპლომატებმა გამოგვიცხადეს—დამშვიდდით, ნუ ღელავთ: ქრისტიან ჟანდარმებს მოგცემთო, და მეტად კმაყოფილთ თავის ასეთ ნამოქმედარით, მოგვთხოვეს status quo-ს დაცვა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. ეს status quo, რომელსაც ასე წმინდად იცავენ ვენაში (და სხვაგანაც), არის status quo ბოროტ-მოქმედებისა და ბარბაროსობისა. მერე რა მოჰყვა ამას შედეგად? მაკედონელებს, რასაკვირველია, ვერ დაამშვიდებდა ასეთი რეფორმები: მოძრაობა დღითი-დღე იზრდება და თან-და-თან ნამდვილ რევოლიუციის ხასიათს იღებს, რაც ბოლოს აიძულებს ავსტრიას ჯარებით დაიკავოს მთელი მაკედონია ან ნაწილი ამ უბედურ ქვეყნისა“.

✦ მკითხველს ეცოდინება, რომ პორტამ მუქარით და ბრალდებით სავსე ნოტა გაუგზავნა ბულგარიის მთავრობას—რაც მაკედონიაში არეულობა ხდება, სულ თქვენი მიზეზით არის და პასუხისგებაც თქვენი უნდა იყოსო. ევროპის დიპლომატები შიშმა შეიპყრო—ვაი თუ ბოლგარიამაც ასეთივე პასუხი მისწეროს ოსმალეთს, ოსმალეთმა ამით ისარგებლოს და ჯარები ბოლგარიის წინააღმდეგ დასძრასო. დიპლომატების შიშს საფუძველი ჰქონდა: ოსმალეთის პოლიტიკური მოღვაწეები არც კი მალავდნენ, რომ ბოლგარიასთან ომი სასურველი იყო მათთვის, მაჰმადიანთა საზოგადოებრივი აზრიც ამასვე თხოულობდა; მთავრობა მით უფრო დააკმაყოფილებდა ამ სურვილსა და მოთხოვნას, რომ იმედი იყო ამ გზით, საბოლოოდ თუ არა, ერთის ხნით მაინც მიევიწყებინა ევროპისათვის მაკედონელების საქმე.

მეორეს მხრივ ბოლგარიის ერი უკიდურესობამდე გამწარებულია; სამთავროს მთავრობა დიდის გაჭირვებით აჩერებს ხალხის შემაგრებას და ასეთ პირობებში რომ ოსმალეთის ხსენებული ნოტა მისულიყო, ხალხის გაჩერება შეუძლებელი იქმნებოდა. მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა: სოფიაში მყოფი ელჩი ოსმალეთისა მეტად წინ დახედული კაცი გამოდგა: სანამ ხსენებულ ნოტას გადასცემდა დანევს, ჯერ შეიტყო, თუ როგორ მიიღებდა მას ბოლგარიის მთავრობა და როცა გაიგო, რომ მრისხანე ნოტას მრისხანედვე გასცემდა პასუხს, კონსტანტინეპოლში მიიწერა და გამოგზავნილი ნოტა უკანვე წაიღებინა.

ამ გვარად ევროპის დიპლომატების სურვილი ასრულდა; ოსმალეთს ომი არ გამოუცხადებია ბოლგარიისათვის და „მშვიდობიანობა“ დაცულია. მაგრამ როდემდის?

მერე რამდენად სასურველი და გამოსადეგია სამართლიანობის გამარჯვებისათვის საქმის ასე დატრიალება?

ომი საშინელებაა, მაგრამ განა მაკედონიის ეხლანდელი მდგომარეობა იგივე საშინელება არ არის? მერე ისეთი, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ამერიკის შეერთებულ შტატების ეხლანდელ პრეზიდენტს უთქვამს—ომი დიდი უბედურებაა, მაგრამ უდიდესი უბედურება კი არ არისო. ოსმალეთ-ბოლგარიის ომი დიდხანს არ გასტანდა; ევროპის სახელმწიფოები, ეხლა რომ შორიდან უცქერიან მაკედონიის ტრაგედიას და მხოლოდ დიპლომატებს ალაპარაკებენ, იძულებული გახდებოდნენ იარაღით ხელში ჩარეულიყვნენ საქმეში და მებრძოლნი ისე გაეჩერებიათ. ასეთ ჩარევას კი აუცილებლად ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ გამარჯვებული თუ დამარცხებული ოსმალეთი დაჰკარგავდა თავის ბატონობას მაკედონიაში.

## ახალი ამბავი

✦ საბოლოოდ გადასწყდა, რომ **ბაზრობა და სეირნობა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** სასარგებლოდ გაიმართება 18 მაისს თავად-აზნაურთა ქარვასლის ბაღში.

✦ შუამდგომლობაა აღძრული, რომ გორის მაზრის სოფელ **ახალ-ქალაქში დაარსდეს საქალაქო სასწავლებელი**. როგორც გვატყობინებენ, ადგილობრივ მემამულეს თავ. ვ. ა. თარხნიშვილს აზრადა აქვს შესწიროს მომავალ სასწავლებელს ორი დესეტინა მიწა.

✦ **მეაბრეშუმეობა ქართლშიაც იკიდებს ფეხს.** ახლად დაარსებულ ამხანაგობას „თამარს“ ძალიან ბევრმა მიჰმართა და სთხოვა აბრეშუმის თესლი. ამხანაგობას რაც თესლი ჰქონდა—1000 მისხლამდე—სულ დაარიგა. ამას გარდა ამხანაგობამ სოფლელთ უსასყიდლოდ დაურიგა 2000 ნერგი თუთის ხისა.

✦ **ბათუმი:** 2 მაისს, საღამოს მატარებლით მობრძანდა აქ **რომის კათოლიკეთა ტირასპოლელი ეპისკოპოსი ბარონ როპპი.** თან ახლდნენ ბ-ნი ზუბალაშვილი, სარატოვის სემინარიის რექტორი ი. ანტონოვი და სხვანი. სადგურზე ეპისკოპოსს დიდ-ძალი ხალხი დაუხვდა. ადგილობრივ ქართველ კათოლიკეთა სახელით მიხეილ ბეთანიშვილმა მიართვა პურ მარილი. სადგურიდან ეპისკოპოსი წავიდა კათოლიკეთა დროებით ეკკლესიაში, სადაც სიტყვა წარმოსთქვა. სადგომი ეპისკოპოზისათვის დაამზადეს „ფრანციის“ სასტუმროში.

✦ კვირის ნომერში უკვე დაბეჭდილი გვქონდა **სოხუმის ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსანთა სია.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ 23 კაცი ქართველი აარჩიეს, 14 რუსი და 2 ბერძენი. როგორც ეხლა გვატყობინებენ, გამოცხადებულა სულ 164 ამომრჩეველი, აქედან ქართველი ყოფილა—100, რუსი—50 მდის და დანარჩენი ბერძენი. ზოგიერთებს აზრადა აქვთ თურმე განასაჩივრონ არჩევნები.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით, ამიერ-კავკასიის **საბრეშუმო სადგურმა** სოფლის სკოლებს გაზაფხულზე უსასყიდლოდ დაურიგა 100 ათასი ნერგი თუთის ხისა.

✦ ვენიდან გვწერენ: „პროფესორ ხიარის სიტყვით, **ბ-ნ ს. ალექსი-მესხიშვილის** ყელი თითქმის განთავისუფლებულა papiloma-ებისაგან, მხოლოდ ყელის სიღრმეში მოიპოვება კიდევ ცოტაოდენი მეტად წვრილი ხორც-მეტები, რომლის ამოცლას ორი-სამი კვირა-ღა მოუნდება. ამის შემდეგ პროფესორი ურჩევს ბ-ნ მესხიშვილს ტიროლში გამგზავრებას ერთის თვით მაინც, რომ შესძლოს იქ, სუფთა ჰაერზე, ამდენ ოპერაციებისაგან გაფიცხებულ ყელის დაშოშმინება. პროფ. ხიარის სურს ტიროლიდან დაბრუნების შემდეგ ნახოს კიდევ იმისი ყელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ბ-ნ მესხიშვილისათვის ტიროლში გამგზავრება შეუძლებელია: იმას არამც თუ საგარეოდ წასვლის საშულება, სხვა უფრო აუცილებელ მოთხოვნილებათა (მაგ. ექიმის გასამრჯელოსი, უკან დაბრუნება და სხვა) დაკმაყოფილებაც არ შეუძლიან. სამის თვის განმავლობაში მესხიშვილმა მიილო 200 მანეთი დრამატ. საზოგადოებისაგან და 50 მანეთიც კერძო კაცთაგან.“

✦ 11 მაისისთვის დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის **მეაბრეშუმეთა შირკედ ამხანაგობის წლიური კრება.** ამხანაგობის გამგე ამ ჟამად ლიონშია ამხანაგობის საქმეების გამო.

✦ ტფილისის **რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად** დაუნიშნავთ ნოვოროსისკის ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი.

✦ გუშინ, 5 მაისს, დიღუბეში დაიწყო **ცხენების ახრმუკა.** ცუდის ამინდის გამო ძალიან ცოტა ცხენი გამოიყვანეს.

✦ გორის მაზრის სოფელ გომში სოგომონოვები ჰმართავენ **არყის დიდ ქარხანას.** აზრადა აქვთ არაყი უმთავრესად სიმინდისაგან გამოჰხადონ.

✦ რედაქციამ მიიღო ბ-ნ დ. არაყიშვილის მიერ შედგენილი შემდეგი **სასიმღერო რომანსები:** „მზე აღარ ბრწყინავს“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და „მწყემსის სიმღერა“. სამივე რომანსი კ. მესხიშვილის ლიტოგრაფიაში არის დაბეჭდილი, მეტად სუფთად და ლამაზად. ღირს თითო ორ ორ აბაზად.

✦ **ფოთიდან გვწერენ:** „პირველ მაისს, პოლიცმეისტერის ნებართვით, გურულებმა და მეგრელებმა გამართეს ჩვეულებრივი ბურთაობა. თამაშობა 15 წუთს გაგრძელდა. ბურთი ლელოზე გურულებმა გაიტანეს.

## შემოწირულება

**ქ. შ. „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულ სეირნობისა და ბაზრისთვის შემოსწირეს:**

**1, ქ-ნ ქეთევან დ. ჟურულისა, კნ. ჩხეიძისა და ქ. ნინო მაქარაშვილისაგან დ. ჯალალოღლიში გამართულ წარმოდგენისაგან შემოსული—60 მ. 57 კაპ.**

**2, ქ-ნმა მარიამ დავ. აბხაზიშვილისამ სურათი ძვირფასს ჩარჩოში.**

**3, თ. ივანე იას. გაწნაძემ—აბრეშუმის ორი სახალათე და 25 არშინი სხვა-და-სხვა ჩითი.**

### ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდის“ წლიური კრება დანიშნულია 18 მაისისთვის. ანგარიშის გარდა, კრება განიხილავს გამგეობის მოხსენებას ამხანაგობის მოქმედების გაფართოვების შესახებ.

✦ ამ ბოლო დროს, როგორც მკითხველებმაც იციან, ქუთაისში ძლიერ გავრცელდა ამერიკულ ვაზის გაშენება. კერძო კაცნი თუ ამხანაგობანი იჯარით იღებენ ქალაქში მიწებს და აშენებენ დამყნილ ვაზის ნერგებს. სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი ხსენებულ

---

მოიწადინეს საერთო რესპუბლიკისაგან განთავისუფლება. როგორც ვაშინგტონი, ესეც ორჯელ აირჩიეს პრეზიდენტად. ფანატიკოსის ხელით მოკლულ იქმნა ნიუ იორკის თეატრში.

3) ულის ს. გრანტი, ლინკოლნის თანამედროვე და ნიჭიერი სარდალი. ამან პირადის მონაწილეობით ზემოხსენებული ომი სასურველად დააბოლოვა და ლინკოლნის სიკვდილის შემდეგ ორჯელ პრეზიდენტად ამორჩეულ იქმნა.

4) ბენიამინ ფრანკლინი იყო ფილოსოფოსი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე და ჯენტელმენი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ამან შეჰქმნა სამშობლოში ბეჭდური სიტყვა, ამან მოუპოვა სამშობლოს საფრანგეთის თანაგრძნობა მტერთა წინააღმდეგ და გაჭირვებიდან გამოიყვანა თავისი ქვეყანა. მისი ბიოგრაფია ახლაც დიდ-ინტერესს წარმოადგენს.

5) თომა ჯეფერსონი, ესეც ორჯელ პრეზიდენტად ნამყოფი, აღიზარდა საფრანგეთის მე-18 საუკუნის თავისუფლებისა, თანასწორობის და ადამიანის უფლების აზრებზე. ერთს დოკუმენტს იგი ამ სიტყვებით იწყებს: „ჩვენა გვგონია, რომ შემდეგი ჭეშმარიტება ყველასათვის აშკარაა: ადამიანები დაბადებით თანასწორნი არიან, და ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლება სიცოცხლისა, თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვებაზე.“ იგი ითვლება ამერიკელ დემოკრატიის მამა-მთავრად. როგორც კერძო ცხოვრებაში, აგრეთვე სახელმწიფო მოღვაწეობაში მას არც ერთხელ არ უმტყუნია დემოკრატიულ მიმართულებისათვის. ყოველთვის იმას ჰქადაგებდა, რომ თავისუფლება—ეს „ნავთსაყუდარი კაცთა“ მინიჭებული უნდა ჰქონდეს არა მარტო მთელს ამერიკის კავშირს, არამედ ცალკე შტატსაც. მას უყვარდა მეტად მარტივი, მდაბიო ცხოვრება, თუმცა პრეზიდენტის ადგილი ეჭირა.

6) ჯონ ადამსი, ვაშინგტონის თანაშემწე და მის შემდეგ პრეზიდენტად ნამყოფი.

7) ჰენრი კლეი და 8) დანიელ უებსტერი, ორივენი დემოკრატიული მიმართულებისანი, შინაურსა და გარეშე პოლიტიკაში ფრიად მნიშვნელოვანნი იყვნენ ორმოცის წლის განმავლობაში; ორივენი დიდ-ხანს სენატსა და კონგრესში მუშაობდნენ, მაგრამ გარდა საზოგადო მოღვაწეობისა, მათ დიდი სახელი მოიხვეჭეს, როგორც ნიჭიერმა ორატორებმა: მათ მიერ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები, რამდენიმე ტომად გამოცემული, ახლაც მჭევრმეტყველობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენენ.

მეომართა რიცხვით ამერიკის „დიდების ტაძარი“ არ არის მდიდარი, რაიც იმ უბრალო მიზეზით აიხსნება, რომ ახალგაზდა რესპუბლიკა ერიდება საზოგადოდ ომიანობას. მილიტარიზმი, რომელმაც ლამის შთანთქას ევროპიელთა ქონება-სიცოცხლე, იქ, ამერიკაში სრულიად უნიადაგოა. წინად ჩამოთვლილნი მეომარნი, როგორც ვაშინგტონი და სხვ., უფრო შესანიშნავნი არიან სახელმწიფო მოღვაწეობით და ამიტომ ისინი ამ ჯგუფს ეკუთვნიან. საკუთრივ მეომართა ჯგუფის წარმომადგენელად ირიცხებიან (9) გენერალი ლი და (10) ადმირალი ფარრაგუტი. ამ უკანასკნელმა თავი ისახელა სამხრეთ-შტატების ფლოტის დამარცხებით. ერთხელ იალქანზე მიბმულმა სამხედრო გემები უშიშრად გაატარა მოწინააღმდეგეთა ფლოტის შუა, როდესაც მტერს შეეძლო გაენადგურებინა იგი. მან დაიმსახურა კაპიტანის ჩინი, მაშინდელი უმაღლესი ხარისხი, მაგრამ ეს არ აკმარეს და მისთვის დააწესეს პირველად ადმირალობა.

სამი სახელი მსაჯულთა (11) ჯონ მარშალი, (12) ჯემს კენტი და (13) ჯოზეფ სტორი შედარებით ნაკლებად არიან ცნობილნი ამერიკაში და მათი ამორჩევა „უკვდავთა“ შორის იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ ამომრჩეველებში ბევრნი ერივნენ სახელმწიფო მოღვაწენი და მსაჯულნი, რომელთაც მათ მხარი მისცეს.

ამაზე უფრო ცნობილნი არიან ორი ფილანტროპი (14) ჯორჯ პიბოდი და (15) პეტრე კუპერი, თუმცა მათ ცხოვრებას და მოღვაწეობას ადგილობრივი, ამერიკული ხასიათი აქვს.

პიბოდი დაიბადა 1795 წელს. თავისი მოღვაწეობა დაიწყო ნოქრობით სოფლის ერთს მოვაჭრესთან, 1843 წელს-კი ბანკირად იყო ლონდონში, სიდანაც ამერიკაში ხშირად მოგზაურობდა და ყოველთვის სამშობლო ქვეყანაში მოგზაურობას აღნიშნავდა ხოლმე დიდის შეწირულებით რომელიმე სასარგებლო საქმისათვის, მაგ. უნივერსიტეტისა, ინსტიტუტისა, წიგნთ-საცავისა თუ საზოგადო განათლებისათვის. ლონდონის მუშათა თავშესაფარის სასარგებლოდ მან შესწირა 5 მილ. მან., რისთვისაც ინგლისის დედოფალმა მას უბოძა ხარისხი ბარონეტისა, მაგრამ პიბოდიმ ამაზე უარი განაცხადა. სიკვდილის შემდეგ მან დასტოვა 10 მილ. და მის მიერ შეწირულება სიცოცხლეში აღემატებოდა 20 მილ. მან. (არა ჰგვანებია ჩვენებურ შეძლებულთ!)

ცხოვრება მეორე ფილანტროპისა—პეტრე კუპერისა ვერ დახასიათდება მხოლოდ შეწირულებით. სოფლის ხელ-მოკლე დედ-მამისაგან დაბადებულმა შეიძინა მილიონის შეძლება, მაგრამ ნივთიერი შეძლება არ შეადგენდა მისს უმთავრეს მიზანს ცხოვრებისას. კუპერს ყოველთვის ჰქონდა წინ დაყენებული იდეალი. ჯერ პატარა ბავშვობაში მან მოიგონა მაუდის საჭრელი მანქანა, რომელიც ერთს ხანს დიდს ხმარებაში იყო. შემდეგ, როდესაც საკუთარი რკინეულობის ქარხანა გახსნა, პირველად მან გააკეთა ამერიკაში ორთქლის მატარებელი თავის მიერ შედგენილის გეგმით და გაატარა რკინის გზა, თუმცა საზოგადოებამ პირველად დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ამას გარდა, აურებელი ფული დახარჯა ატლანტიის ოკეანეში ტელეგრაფის კაბელის გასაყვანად; მაინც მიაღწია მიზანს. პოლიტიკურ საქმეებში იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა და ყოველთვის პროგრესიულ აზრების მომხრე იყო. როდესაც არჩეულ იქმნა სკოლების საპატიო წევრად, მან დაანახვა საზოგადოებას ამერიკული სკოლის ნაკლულევანება და საკუთარის ხარჯით გახსნა პირველი სახალხო უნივერსიტეტი.

სანერგეებიდან შეძენილი ვაზი უვარგისი გამოდგა, თუმცა ფასს დიდს იხდევინებიან: თითო ძირში 7—10 კაპეიკს. საქარის სანერგეში კი 5 კაპ. იყიდება. ამხანაგობამ „ზვარმა“ წელს შესწყვიტა მოქმედება.

◆ ქუთაისის გუბერნატორს გ. მ. სმაგინს, რომელიც ამ ჟამად სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგშია, მოელიან 10 მაისს.

# რუსეთის ქრონიკა

◆ გამოცხადებულია ნება-რთვა ახალის გაზეთების გამოცემისა. სხვათა შორის, „აღმოსავლეთის შემსწავლელ საზოგადოებას“ ნება მიეცა გამოსცეს თავისი საკუთარი გაზეთი. „რუსსკოე სობრანიე“-საც მიეცა ნება გამოსცეს „ცნობები“; თავად ვ. პ მეშჩერსკის—„დრუჟესკია რეჩი“; ქ-ნ ბერნერს—„სათეატრო კურიერი“ და სხვ.

◆ აზრადა აქვთ შემოდგომაზე პეტერბურგში მოახდინონ სრულიად რუსეთის მერძევეთა კრება. სხვათა შორის, კრებამ უნდა მოილაპარაკოს მერძეობის უმაღლესს სასწავლებლის დაარსების შესახებ.

◆ რადგანაც რკინის გზებზე მატარებლებში ძარცვა გლეჯა ხშირია, გზათა სამინისტრომ დაავალა რკინის გზების წარმომადგენელთა ამას წინად მომხდარ კრებას, შეიმუშაოს ზომები ძარცვა-გლეჯის ამოსაფხვრელად. კრებას საჭიროდ უცვნია: 1) კონდუქტორთა რიცხვის გამრავლება; 2) ღამ-ღამეობით მატარებლებში ახალ მოსამსახურეების დანიშვნა.

◆ როგორც „ჩერნ. გუბერ. ვედ.“-ი გადმოგვცემს, კონოტოპში წასულა ჩერნიგოვის გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის უფროსი პოლკ. ნ. ბ. რუდოვი. იქვე წასულა სხვა მოხელეებთან ერთად ჩერნიგოვის გუბერნატორი.

◆ სახელმწიფო რკინის გზებს შუამდგომლობა აღუძრავთ, ნება დართონ ჩვეულებრივ სკოლებს გარდა დააარსონ განსაკუთრებული სასწავლებლები მატარებლების მიმოსვლის საქმისთვის აგენტების მოსამზადებლად.

◆ ოდესაში მთავრობა აარსებს საელექტრო-სატეხნიკო სასწავლებელს.

◆ პეტერბურგში მომავალ საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად უკვე ჩასულან ამერიკულ გაზეთების კორესპონდენტები.

◆ კიშინევის მომრიგებელი მოსამართლენი შეუდგნენ ებრაელთა აწიოკების საქმის განხილვას. სხვათა შორის, 21 აპრილს მოსამართლეს კირიაკოვს განუხილავს 19 საქმე. ექვსი ბრალდებული გაუმართლებია, დანარჩენებისთვის $1^1/_2$ თვით დაპატიმრება მიუსაჯნია. ეს ბრალდებულნი შეიპყრეს 7 აპრილს, აკლების დღეს, იქვე ქუჩაში. თითქმის ყველამ დამნაშავედ აღიარა თავი, მაგრამ განაცხადეს, ჩვენ არ დავცემივართ ებრაელებს, ჩვენ მხოლოდ ქუჩაში ნივთები ავიღეთ და წავიღეთო. ბევრმა ისიცა სთქვა, მე ნივთები შესანახად წავიღე, რომ შემდეგ პატრონებისთვის გადამეცაო.

◆ გაზეთებში დაბეჭდილია აწიოკებულ ებრაელთა ნაამბობი. ერთ ახალგაზდა ებრაელს ქუჩაში გამოსდგომიან. იგი ცხენის რკინის გზის ვაგონში შემხტარა. გადმოუთრევიათ, წაუქცევიათ და დაუწყიათ ცემა. ეხლა ეს კაცი საავადმყოფოში წევს და ძლივს-ღა ლაპარაკობს. მეორეს, მოხუცს, ტირილით უამბნია კორესპონდენტისთვის, როგორ დამალულან ერთ ადგილას ებრაელნი, რიცხვით 70 კაცი, როგორ მიუგნიათ მძარცველთ და შესდგომიან იმათ ჟლეტას...

◆ გაზეთების სიტყვით, კიშინევში აწიოკებულ ებრაელთა სასარგებლოდ ლევ ტოლსტოის შეუწირავს 15,000 მანათი.

◆ გაძლიერებულ დაცვის დებულება 1903 წლის 10 სექტემბრამდე განგრძობილ იქმნა შემდეგს ადგილებში: ქალაქ ტაშკენტსა, ტაშკენტისა, ჩიმკენტისა და აულიეატირის მაზრებში, სირ-დარიინის, ფერგანისა და სამარყანდის ოლქებში.

◆ „გრაჟდანინი“ გადმოგვცემს შემდეგს: „სენატმა განიხილა საჩივარი ხარკოვის საგუბერნიო ერობისა. ერობა უჩიოდა გუბერნატორს თავ. ობოლენსკის, რომელმაც უკადრისის სიტყვებით გაჰკიცხა ერობა. სენატმა საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა, მაგრამ თავ. ობოლენსკის მოქმედება-კი უკანონოდ იცნო“.

# პრესსა

**ჟურნალ „პრომიშ. და ზდრავიე“-ს უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია წერილი ფოსტის მოხელეთა სამსახურის შესახებ. ავტორი ორ საგანს ეხება—სამუშაო დროს სიდიდეს და სასყიდლის სიმცირეს.**

პეტერბურგსა და სხვაგანაც ფოსტალიონები დღეში 11—13 საათს მუშაობენ. აქედან ფოსტალიონი ქუჩებში დადის 8—11 საათს. აბგა, რომლითაც კორესპონდენცია დააქვს, სიმძიმით $1^1/_2$ ფუთი იქმნება. დღეში ფოსტალიონმა 40 ვერსამდე უნდა გაიაროს. უკეთესს მდგომარეობაში არც ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი არიან. დაახლოვებით ეს მოხელენი დღისით რვა საათს მუშაობენ, რაიცა მაინცა და მაინც ბევრი არ არის. უბედურება ისაა, რომ დღე გამოშვებით ღამეც უნდა იმორიგეონ და ამას გარდა სამ დღეში ერთხელ კანტორაში 5 საათამდე დარჩნენ; ასე რომ, ორთა შუა რიცხვით, ყოველ დღიური მუშაობა მოხელისა 11—12 საათამდე ადის. მორიგობის დღეს მოხელეს დღე-ღამეში 16 საათის მუშაობა უხდება.

აი, ასეთ ძნელ მუშაობისთვის ფოსტალიონებსა და წვრილ მოხელეებს ძალიან მცირე სასყიდელი ეძლევათ. მეოთხე ხარისხის მოხელეს ეძლევა 45 მანეთი, მეხუთისას—34 მ., მეექვსისას: უფროსს—27, უმცროსს—23 მანეთი. ეს მოხელე. ფოსტალიონის ჯამაგირი ხომ უფრო მცირეა. პირველ ხანს ფოსტალიონს ეძლევა 20 მანეთი ჯამაგირი და 2 მან. სააღდგომოთ. ჯამაგირის მომატება კუს ნაბიჯითა ხდება. მხოლოდ 35 წლის სამსახურისათვის ეძლევა ფოსტალიონს 35 მანეთი. კარგა ძალი ჯამაგირისა ფორმის ტანისამოსს და ფეხსაცმელს უნდება. ფეხსაცმელზე ფოსტალიონს წელიწადში სულ ცოტა 25—30 მანეთი ეხარჯება. პროვინციაში, სადაც სამუშაო ხშირად უფრო ბევრია, ჯამაგირი ნაკლებია. ჩვეულებრივ პროვინციაში ფოსტალიონს ეძლევა 15 მანეთი თვეში.

კარგა ხანია ხმა დადის, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს ჯამაგირის მომატებას უპირებენო, მაგრამ დღემდე ეს ხმა არ გამართლებულა.

⁂

**„რუსკ. ბოგ.“ ეხება გლეხთა ურთი-ერთ თავმდებობის გაუქმებას.**

ურთ ერთ თავმდებობის გაუქმებით, სწერს ჟურნალი, მართალია გლეხი ნაკლებ დამოკიდებული იქნება სოფლისაგან, მაგრამ განთავისუფლებით-კი მაინც ვერ განთავისუფლდება. კარგად რომ ჩაუკვირდეთ 12 მარტის კანონს, იცვლება მხოლოდ დამოკიდებულების ფორმა და გარემოება. თუ წინად გლეხი სოფლისაგან იყო დამოკიდებული, ახალის კანონის გამოცემის შემდეგ, იგი დამოკიდებული ხდება საზოგადო და გადასახადთა ადმინისტრაციისაგან. საეჭვოა, რომ ეს ახალი დამოკიდებულება წინანდელზე უფრო ადვილი ასატანი იყოს. პირიქით, საფიქრებელია, რომ ამას უფრო ცუდი შედეგი მოჰყვება, ვიდრე პირველს მოჰყვა. თუმცა სოფლის საზოგადოება დარჩენილ გადასახადთა მოკრების დროს ზოგჯერ სასტიკად იქცეოდა, მაგრამ ხშირი იყო ისეთი მაგალითებიც, როდესაც სოფლის საზოგადოება შეღავათიანად ეპყრობოდა ღარიბ სოფლელს. ამ შემთხვევაში იგი გაჭირვებულ მეზობლისადმი თანაგრძნობით ხელმძღვანელობდა. საეჭვოა, რომ ადმინისტრატიულ დაწესებულებათა და მოხელეთა ბიუროკრატიულ პრაქტიკაში ამ ნაირ გრძნობას ადგილი დაეთმოს. მეორეს მხრივ, ეს დაწესებულებანი და მოხელენი, ეჭვი არ არის, უფრო სასტიკად მოექცევიან ცალკე გლეხებს, ხარჯის გადამხდელთ, ვიდრე მთელ სოფელს ექცეოდნენ. რაღა თქმა უნდა, სასტიკ ზომების გავლენით, გლეხნი ყოველ საშუალებას იხმარენ, უკანასკნელ გაჭირვებას მოითმენენ და გადასახადს-კი გადაიხდიან. ხოლო რა შედეგი მოჰყვება ამას, ადვილი მისახვედრია. დარჩენილი გადასახადი მარტო შიდა რუსეთში დღეს 140 მილიონ მანეთამდე ადის. თუ ეს ფული, 12 მარტის კანონის ძალით, მთელ სოფლების ნაცვლად, კერძო გლეხებს გაეწერა, უთუოდ ბევრს მოუხდება თავისს მიწა-ადგილზე სრულიად ხელის აღება...

⁂

**„ნოვოე ვრემიას“ ვერაფრად მოსწონებია იმ გაზეთების საქციელი, რომელნიც ებრაელების აკლებისათვის კიშინევში ჰკიცხავენ კრუშევანს და იმის თანამოაზრეთ. ერთის ხალხის მიერ მეორის აკლება და აწიოკება, რასაკვირველია, კარგი საქმე არ ირის, ამბობს თავში გაზეთი, მაგრამ უვიც ბრბოს ამაზე უარესი საქმეებიც ჩაუდენიაო. ამასთან გაზეთი ებრაელთა ძველ ისტორიას ეპოტინება და იგონებს, რომ ებრაელებმა არტაქსერქსის 75 ათასი ქვეშევრდომი ამოჟლიტეს. გაზეთს, აშკარაა, ავიწყდება, რომ ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით წაქეზება და ამხედრება ერთის ხალხისა მეორის წინააღმდეგ, როგორც იქცეოდნენ და იქცევიან „ბესარაბეც“-ი და თვით „ნოვ. ვრ.“, უვიც ბრბოს ფრთებს ასხამს და სამოქმედოდ ამზადებს. კერძოდ კიშინევის უბედურების შესახებ გაზეთი განაგრძობს.**

როგორც აღმოჩნდა, ჯერ ისევ მარტის გასულსვე უბრალო ხალხსა და მუშებს შორის ხმა გავრცელდა, რომ ებრაელთა ჟლეტა დაიწყებაო. საჭირო იყო ამ ხმების შემდეგ პოლიციის გაძლიერება და მეტის ჯარის დაბარება კიშინევში. არაფერი ამ მხრივ არ გაკეთებულა. თვით მინისტრის ცირკულიარი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციამ ფხა ვერ გამოიჩინა და თადარიგი ვერ დაიჭირაო. თადარიგი საჭირო იყო განსაკუთრებით ისეთ ქალაქში, როგორიც კიშინევია. აღდგომის პირველ დღესვე საქმე მკვლელობამდე მივიდა. გასაკვირველი არ არის, რომ შურის ძიების გრძნობამ ებრაელთა წინააღმდეგ ქრისტიანები მეორე დღესაც აამხედრა. საყურადღებოა ისიც, რომ მეორე დღეს რევოლვერი პირველად ებრაელმა გაისროლა. საზოგადოდ-კი ადმინისტრაცია მოვალე იყო, უბედურება აეცდინა თავიდან.

## ტფილისის თავად-აზნაურთა მორიგი კრება

### 5 მაისის კრება

კრება გაიხსნა დილის $11^1/_2$ საათს და პირველად მოხსენდა: რას უნდა მოვახმაროთ ის ფული (ყოველწლიურად ორი ათასი თუმანი), რომელიც 1901 წლის იუბილეის გამო ხელმწიფე-იმპერატორმა ტფილისის თავად-აზნაურობას უბოძა? დიდი კამათი გამოიწვია ამ საკითხმა. ზოგი ამტკიცებდა სამეურნეო განათლების საჭიროებას (თავ. გ. ი. თარხნიშვილი, ვ. ი. რცხილაძე, ნიკ. ისარლიშვილი და სხვ.), ამისათვის ბოძებული ფული უკლებლივ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას მოვახმაროთო; თუმცა ამის განხორციელებას ორი ათასი თუმანი არ ეყოფა, მაგრამ, თუ ამ საჭიროებას შევისისხლხორცებთ და იმის აუცილებლობას ვირწმუნებთ, მერე ამის სახსარსაც გამოვძებნითო. თავადნი: დ. ზ. მელიქიშვილი, ბაგრატიონ-დავიდიშვილი, შალიკაშვილი, დ. ჩოლოყაშვილი, მ. მაჩაბელი, ა. ჩოლოყაშვილი, რ. ვაჩნაძე და სხვანი იმას ამტკიცებდნენ, რომ ყველაზე უფრო საჭიროა საზოგადო საშუალო სასწავლებელიო და ამიტომ ამ აზრის მომხრენი ურჩევდნენ კრებას ორი გიმნაზიის დაარსებას—ქართლსა და კახეთში: ერთი გორში და მეორეც თელავსა ან სიღნაღში. ექიმი გ. დ. გაბაშვილი კიდევ იმ აზრისა იყო, რომ ჯერ ერთი ამ გზით ყველა მხარე საქართველოსა ვერ ისარგებლებს და მეორეც—თავად-აზნაურთა ქალების განათლების საქმე სრულებით დავიწყე-

---

შემდეგ დააარსა ხალხთა შორის მეცნიერებისა და ხელოვნების გამავრცელებელი კავშირი, რომელსაც მოანდომა თავისი საკუთარი რამდენიმე მილიონი. ამ კავშირს ახლაც უპირველესი ადგილი უჭირავს ყველა იმ დაწესებულებათა შორის, რომელთაც აზრად აქვთ ხალხის დაწინაურება, მისი გონებრივი და ზნეობრივი ამაღლება, მისი ბურჟუაზიული ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლება. მომხრეებმა წარადგინეს იგი კანდიდატად პრეზიდენტობაზე და მიიღო არჩევანში 81,000 ხმა—ასე განთქმული იყო მისი სახელი. გარდაიცვალა 1883 წ. 15 წლის შემდეგ მადლიერმა საზოგადოებამ ძეგლი დაუდგა მის მიერ დაარსებულ დაწესებულების მახლობლად.

ფილანტროპებს მოსდევენ მწერალნი, რიცხვით ოთხნი: (16) ემერსონი, (17) ლონგფელლოუ, (18) ირვინგი და (19) გოტორნი, რომელნიც თავიანთის მნიშვნელობით ვერ შეედრებიან ევროპიელ გამოჩენილ მწერალთ. ამ მხრივ ამერიკა საზოგადოდ ევროპასთან შედარებით ჯერ-ჯერეობით უკან არის ჩამორჩენილი. რა არის ამის მიზეზი? უცხო ქვეყანაში გადახვეწილნი, უცნობ ბუნებასთან პირის-პირ დაყენებულნი, ჯერ იმის ცდაში უნდა ყოფილიყვნენ ამერიკელნი, რომ საცხოვრებელი შეეძინათ, კუჭი დაეკმაყოფილებინათ, არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულნი გამოსულიყვნენ და შემდეგ შესდგომოდნენ უმაღლეს სულიერ დაკმაყოფილებას, მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებას. უფრო ნიჭიერნი პირველად ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს ეტანებოდნენ, მწერლობას ასე რიგად ყურადღებას არ აქცევდნენ. იგივე არ ითქმის ტეხნიკასა, მეხანიკასა და საზოგადოდ მეცნიერების იმ დარგებზე, რომელნიც ემსახურებიან წარმოების გაძლიერებას და შრომის გაადვილებას. ამ მხრივ ამერიკას უპირველესი ადგილი უკავია დედა-მიწის ზურგზე. უფრო შესანიშნავნი არიან აღმომაჩენელნი მეცნიერებასა და ტეხნიკაში (20) ფულტონი, (21) მორზე და (22) უიტნი. პირველმა გამოიგონა ორთქლმავალი გემი, მეორემ ტელეგრაფი, მესამემ ბამბის სარჩევი მანქანა. ამათმა აღმოჩენამ დიდი გავლენა იქონია მთელის ქვეყნის ცივილიზაციაზე.

ფულტონი დაიბადა 1761 წ. საშუალო სასწავლებლის გათავების შემდეგ დაიწყო მხატვრობა. შემდეგ მისი ყურადღება მიიპყრო ტეხნიკამ და ამის შესასწავლად გაემგზავრა ინგლისს, სადაც გაიცნო უატტი, შეისწავლა მისგან გამოგონილი ორთქლის მანქანა, თვითონაც გამოიგონა ბაწრის საგრეხი და მიწის ამოსაღები მანქანები. 1797 წ. იგი წავიდა პარიზში და აქ შეუდგა წყალქვეშ მოსიარულე გემის ნიმუშის კეთებას. კიდევაც გააკეთა ამისთანა გემი, გაასინჯა ინგლისში, მაგრამ აქედან პრაქტიკული სარგებლობა ვერაფერი ნახა. შემდეგ თავის ქვეყანაში ფულტონი მუშაობდა ორთქლით მოსიარულე გემის გამოგონებაზე და 1807 წ. მის მიერ პირველად აშენებულმა ორთქლის გემმა გუდსონის მდინარეში აღმა გაიარა საათში $7^2/_1$ ვერსტის სისწრაფით; ისე სწრაფად გავრცელდა ეს გამოგონება, რომ 1817 წ. სამხედრო გემებმა დაიწყეს მოქმედება.

მორზე დაიბადა 1791 წ. პირველად ესეც მხატვრობდა და ოქროს მედლით იყო დაჯილდოვებული საუკეთესო სურათისათვის. შემდეგ დააარსა ნაციონალური სამხატვრო აკადემია, რისთვისაც იგი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის პროფესორად იქმნა არჩეული. ამავე დროს იგი ბეჯითად სწავლობდა ელექტრონის თვისებას და ძალიან გააკვირვა ელექტრონულ ანდამანტის აღმოჩენამ (ЭЛЕКТРОМАГНИТЪ); ეს არის უმთავრესი ნაწილი ტელეგრაფის მანქანისა. ტელეგრაფის იდეა მას დაებადა, როცა იგი თავის ერთს მეგობარს ესაუბრებოდა ელექტრონისა და ანდამანტის ერთგვარობაზე. ეს დამტკიცებულ იქმნა მოწმეების ჩვენებით სამსჯავროში, სადაც მორზე იცავდა თავის აღმოჩენას მოცილეთაგან. 1835 წ. მან პირველად გამართა ტელეგრაფის აპარატი და აჩვენა მისი მოქმედება $3^1/_2$ ვერსტის მანძილზე. მაგრამ მთელი ექვსი წელიწადი მოანდომა, მანამ საჭირო ფულს იშოვნიდა, რისთვისაც იგი მოგზაურობდა ამერიკიდან საფრანგეთსა და ინგლისში. ბოლოს, 3 მარტს, 1843 წ. ამერიკის კონგრესმა მისცა 30 ათასი დოლლარი ტელეგრაფის გასაყვანად ვაშინგტონსა და ბალტიმორას შუა. ეს საქმე მან შეასრულა 4 წლის განმავლობაში და ქვეყანას დაანახვა სასწაულებრივი მოქმედება ახლად აღმოჩენილ მანქანისა. საფრანგეთში მოგზაურობის დროს მორზემ გაიცნო დაგერრი (ფოტოგრაფიის მომგონი) და მის მიერ მოგონილი ფოტოგრაფია პირველად მან შეიტანა ამერიკაში.

ბამბის სარჩევ მანქანას, რომელიც უიტნიმ მოიგონა, უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, საკუთრივ სამხრეთ შტატებისათვის, სადაც გავრცელებულია უფრო ბამბის წარმოება.

მეცნიერთა რიცხვითაც ამერიკის „დიდების ტაძარი“ არ არის მდიდარი: (23) აზა გრეი და (24) ოდიუბონი. იქ მეცნიერებამ ბოლოს მოიკიდა ფეხი და ამერიკის აწინდელი შესანიშნავნი მეცნიერნი ზოგი ცოცხალნი არიან (როგორც, მაგ. გამოჩენილი გეოლოგი დანა) და ზოგის სიკვდილის შემდეგ ჯერ არ გასულა 10 წელიწადი.

მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის საშუალო ადგილი უჭირავს ამერიკის პესტალოცის—(25) გორასს მანს, რომელმაც შემოიღო ამერიკაში სულ ახალი სისტემა სწავლებისა გამოჩენილ პესტალოცის მეთოდის მიხედვით.

სამი თეოლოგი (26) ედვარდსი, (27) ბიჩერი, (28) ჩანნინგი და ერთი მხატვარი (29) ჯილბერტ სტიუარტი ცნობილნი არიან მხოლოდ ამერიკაში. მათი ამორჩევა იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ ამომრჩეველთა შორის ბევრი თეოლოგი და მათი პირადი პატივის მცემელნი ერივნენ, და ამიტომ უკანასკნელ „უკვდავთა“ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

გ. ხ.

ბული დაგვრჩება ამ მხრითო. ამისათვის ბ-ნი გაბაშვილი იმ რჩევას იძლევა, ბოძებული ფული სტიპენდიების დანიშვნას მოვახმაროთო.

ამ გვარად მიმართული გაბმული კამათი ძლივს დასრულდა ნაშუადღევის 2 საათს: თავმჯდომარემ სამ-გვარი საკითხი დაასახელა კრების გადასაწყვეტად: 1) სამეურნეო საშუალო სკოლის დაარსებას მოვახმაროთ ბოძებული ორი ათასი თუმანი, 2) ქართლსა და კახეთში გიმნაზიების დაარსებას, თუ 3) სტიპენდიების დანიშვნასო?

ამის მიხედვით სამი ყუთი დადგეს და კენჭი უყარეს: სამეურნეო სკოლის დაარსებას თეთრი ამოუვიდა 46, შავი—59; გიმნაზიების დაარსებას 49—56 და სტიპენდიებს 23-82. ამ გვარად არც ერთი წინადადება არ გათეთრდა.

მეორედ უყარეს კენჭი პირველ ორ წინადადებას და ამოვიდა: სამეურნეო სკოლის დაარსებას 51 თეთრი და 46 შავი კენჭი, გიმნაზიებისას 49 თეთრი 48 შავი.

ამ გვარად კრებამ მოისურვა, რომ ყოველწლიურად უმაღლესად ბოძებული ორი ათასი თუმანი ტფ. თავად-აზნაურთა შვილების სამეურნეო განათლებას მოხმარდეს.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას: რადგან ამ გვარად ინებეთ ბოძებულის ფულის ხმარება, ეხლა ისიც უნდა იფიქროთ, რა წყაროდან უნდა შეავსონ დანარჩენი ფული, რომელიც ორი ათას თუმანზე ზედ მეტი დასჭირდება საშუალო სამეურნეო სკოლასაო. ცოტა კამათის შემდეგ კრებამ კომისია აირჩია, რომელსაც მიანდო ამ საკითხის გამოკვლევა და ამავე კრებისათვის მოხსენება. კომისიაში აირჩიეს: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. გ. ი. თარხნიშვილი, თავ. ლ. გ. ჯანდიერი, ი. გ. თულაშვილი და ვ. თულაშვილი.

სხვათა შორის იმაზედაც ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ კარგი იქმნება ქუთაისის თავად-აზნაურობასაც დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ჩვენი დადგენილება და იმის სურვილიც, რომ იქმნება შემოგვიერთდნენ და თავისის მხრითაც თავისი წილი ორი ათასი თუმანი ამავე საგანს მოახმარონ და ამგზით უფრო მაგარი ნადაგი მივცეთ მომავალ სამეურნეო სასწავლებელსაო. კრებამ დაავალა არჩეულ კომისიას, ტფილისის თავად-აზნაურთა ასეთი სურვილი ქუთაისის თავად-აზნაურობას დაუყოვნებლივ აცნობოს.

კრება დაიხურა $4^{1}/_{2}$ საათს ოთხშაბათამდე, თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის გასვენების შემდეგ.

## წერილი კავკავიდან

თამარ მეფის ხსენება.—მეცხვარეების გაჭირვება.

პირველი მაისს, თამარ მეფის ხსენების დღე, წელს პირველად იდღესასწაულა კავკავის ქართველმა საზოგადოებამ. ქართულს ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი აღსრულებულ ქართველებისა და ქართული სკოლის მოსწავლეების თანდასწრებით. შემდეგ მოსწავლენი მასწავლებლებმა წაიყვანეს მინდორში გასართობად.

აქეთ ძალიან თბილი დარებია და მოსავლისა კარგი პირი უჩანს, თუ გვალვა არ ეწვია სოფლელთ. თერგის ოლქიდანაც დაიწყო მთიელ ცხვრის ფარების დენამ, მაგრამ ვაი ამ მოდენას! ვინ გინდა, რომ დაბეჩავებულ მეცხვარეებს არ ეცემოდეს თავზედ გზაში, არ იტაცებდეს ცხვრებსა და ცხენებს. ამას წინად კობისში მცხოვრებმა კოტე ცაბილოვი მოერეკებოდა თავის ცხვრის ფარას ქისტების სოფ. ნაზრანზედ. შეჰხვდებია მამასახლისი (ქისტი) მეცხვარეებს და მოუთხოვნია ცხვარი. მეცხვარეებს ცხვრის მიცემაზე უარი უთქვამთ, მაშინ მამასახლისის მხლებელ ქისტს უსროლნია ბერდანის თოფი მეცხვარისათვის. იდგილად ტყვია მეცხვარეს ასცდენია და რამდენიმე ცხვარი და ბატკანი მოუკლავს. ამ საღამოზედვე რვა შეიარაღებული ცხენოსანი ქისტი დასცემია თავს მეცხვარეებს და ატეხილა საშინელი თოფის სროლა. ბოლოს ქისტებს გაურეკიათ მეცხვარეების ათი ცხენი. მწყემსები რომ ვერაფერს გამხდარან, მოსულან მაშინათვე კავკავში და გამოუცხადებიათ თავიანთი გაჭირვება პოლიცმეისტერისათვის. პოლიცმეისტერს დაუბარებია მამასახლისი და უბრძანებია, უსათუოდ იპოვნოს ცხენები, აგრეთვე ქურდი-ქისტები. ვინ მოსთვლის რამდენი ამისთანა და ამაზე უარესი ამბები ხდება მეცხვარის ცხოვრებაში!

ბ. ლ.

## წერილი რაჭიდან

სამეურნეო იარაღი რაჭაში.—ვენახების გამრავლება და უზომო ღვინის სმა.—ფილოქსერის გაჩენა.

რაჭაში მეურნეობას ძველის დროინდელ იარაღით აწარმოებენ. აქ არ მოიპოვება მიწის დასამუშავებელი ახალის სისტემის იარაღი. კიდევაც რომ მოიპოვებოდეს, ხალხს არ შესწევს ღონე მათის მოხმარებისა. ამას წინად ქუთაისელ ვაჭარს ს. ფციქაროვს გამოუგზავნა რაჭაში ახალი სისტემის რამდენიმე გუთანი. სოფ. წესშიაც მოიტანეს ორი ამისთანა გუთანი. გუთნები დიდის ყურადღებით დაათვალიერა ხალხმა, მაგრამ ჩვენს ფხვიერ ადგილებში უთვლად უვარგისად სცნეს. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენი რაჭა მთა-ადგილია. აქ გამოუსადეგარი ადგილი უფრო ბევრია, ვიდრე კარგი და მომცემი. მაგრამ ეს გამოუსადეგარი ადგილებიც არ დასტოვეს რაჭველებმა მოუხმარებელი. შრომისგან მოუღალავმა და მომჭირნე რაჭველებმა გადაჰკაფეს ამისთანა ბუჩქნარი ადგილები და მთლად ვენახებად აქციეს. იმისთანა ადგილებში, სადაც სიმინდი და პური არ მოდის, ვენახი კარგად ხარობს და კარგი ღირსების ღვინოც დგება. დღეს ნახევარი რაჭა თითქმის ვენახებს უჭირავს. ყოველ წელს ბევრი ვენახი ემატება რაჭას. მალე შეიძლება ყანა სულ მოისპოს და რაჭა ვენახების წალკოტად გადაიქცეს. ამ ბოლოს დროს რაჭულ ღვინოს ფასიც ძალიან დაეცა, ასე რომ ეხლა აქ კასრი (ორი ხაპი; იწონის 72 გირვ.) კარგი შავი ღვინო 8 მანეთად ფასობს. საშუალო ღირსების ღვინო—5 მან. და უბრალო თხელი ღვინო—4 მანეთად. რაჭული ღვინო მშვენიერის ღირსებისაა, მხოლოდ შორს წაღებას ვერ იტანს. მშვენიერი სუნი აქვს, კარგი ფერი და კარგი გემო. ჩვენში ღვინის შეღება და შეზილიბილება არ იციან. რაჭაში მოსული ღვინო რაჭაშივე სადდება. ის სოფლები, სადაც ვენახები არა ხარობს, თხა-ცხვრისა და სხვა საქონლის მოშენებას მისდევენ. დასუქებულ საქონელს ჰყიდიან შემოდგომაზე და მათი ნაფასურით ღვინოს ჰყიდულობენ. ხშირად თხა-ცხვარს ღვინოზე სცვლიან.

რაჭველი კაცი ხშირად იტყვის ხოლმე: „რომ მოვკვდე მე, ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ვინც ვაზის ძირში არ დამმარხოსო!“ აქაურ ხალხს ძალიან უყვარს ღვინო, მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც: ხშირად ქორწილში ღვინის სმით რომ გაჯერდებიან, მოიტანენ დიდ ხის კათხას*) და უსვენებლივ გადაჰკვრენ. ამისთანა კათხა უცხო კაცმა რომ სავსე დაინახოს, ღვინის შესანახი ჭურჭელი ეგონება.

თავ-ზარი დასცა რაჭველებს ზოგ-ზოგ სოფლებში ფილოქსერის გაჩენამ. ფილოქსერის მხრივ საშიშრად ცნობილია შემდეგი სოფლები: ბუგეული, სადმელი, კვაცხუთი, იწა, ახალსოფელი და წესი. თუ ფილოქსერამ ფეხი მოიკიდა ისე, როგორც იმერეთში, მაშინ კი დიდი უბედურება მოელის მთელ რაჭას, რადგან ღვინის ნაფასურით ისტუმრებს რაჭველი კაცი ათას ნაირ გადასახადს.

ვანო ჭიჭინაძე

---

*) კათხა დიდ-ფეხიანი ბაკალის მსგავსი ღვინის ჭურჭელია ხისა და ჩადის 8 ბოთლი, ზოგში კიდევ მეტიც.

## დაბა-სოფლები

**ლარსი** (საქართველოს სამხედრო გზა). აპრილის ოცადან დიდ-ძალი ცხვარი მოდის აქეთ კრასნა-ვოდსკის მხარეებიდან. ეს ცხვარი მოხევეებისა და მთიულებისაა. ცხვარი ძლიერ მსუქნად არის და დაუზარალებელია, ასე რომ თითქმის შემოდგომის ცხვარსა ჰგავს. მეცხვარეები ძლიერ კმაყოფილნი არიან წარსულის ზამთრისა. უკმაყოფილონი არიან სამ-გვარად იმისა, რომ გზაზე ბევრი მგლეჯავნი ჰყავთ საბრალოებს: ისე ვერ გამოივლიან ქისტების სოფლებზე, რომ ცხვარი არ მოსტაცონ. ასევე ექცევიან ყაზახთა სტანიცებშიაც. ამავე დროს სოფლელთ საბალახოსაც ართმევენ. მოვლენ კავკავიდან და აქ ქალაქი ართმევთ სულზე, როგორც ცხვარსა, ისე ბატკანზე, თითო კაპეიკს. გამოსცდებიან კავკავსა და ჯერ „ზასტავა“ და მერე დუქნარები უდგანან კრიჭაში და ართმევენ საბალახოს... ასე წვალებით უხდებათ მგზავრობა ცხვრის პატრონთ. ყველას გაგლეჯა-გამორჩენაზე უჭირავს თვალი.

ცხვრის გარდა ცხენებსაც იტაცებენ. მთიულს ხაზულაშვილს დასცემოდნენ ქისტები და წაურთმიათ ოცამდის ცხენი. კავკავის ნაპირას ცაბოლოვებს დასტაცეს ცხრა ცხენი. ოცდა-ათს ამ თვეს, ღამე, ჯაირახთან (საქართველოს სამხედრო გზაზედ) მეცხვარეების ბინას დაეცნენ და დასტაცეს ბინაზე რაც რამ ჰქონდათ; მეცხვარეებსაც ვინ იცის რას უზამდნენ, რომ ყაზახები არ მოეშველებოდნენ. სწორედ გასაკვირველია, როგორ ასდიან ამოდენა ხარჯს მეცხვარეები!

მდინარე თერგმა შესამჩნევი მომატება დაიწყო, მაგრამ გზების შეკეთება-შემაგრების თადარიგს ჯერ არ შესდგომიან.

ქართველი ოსეში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი.

**პეტერბურგი.** „ნოვ. ვრ.“-ს ცალკე ნომრებით გაყიდვა ნება დართულია.

**პიატიგორსკი.** ავად-მყოფები იკრიბებიან. ორი რკინის გზის ლიანდაგის გასაყვანად უკვე დაიწყო მუშაობა ელექტრონური ტრამვაისათვის.

**სოფია.** ოსმალეთა მმართველობა გაცხარებით მუშაობს ციხე-სიმაგრეების გასაძლიერებლად ენრიცერეს, პლანკოის და დეპებაირის საზღვრებზე.—გაქცეულნი ბოლგარეთის საზღვარზე გადადიან მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაიეტის შუა.—მთავარმა ფერდინანდმა მიიღო კაბინეთისაგან სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი. სამინისტრო ჯერ არ შეუდგენიათ. მთავარი საკოალიციო კაბინეთის შედგენას ცდილობს. მოლაპარაკება პეტკოვის, კარაველოვისა და სხვა სახალხო პარტიების მოთავეებთან.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთა ჯარი იპეკში 2 მაისს საღამოს შევიდა. ალბანელთ წინააღმდეგ მოქმედებას პორტა გათავებულად სთვლის.—გავრცელებული ხმა, რომ მატარებელ „ორიანტ-ექსპრესს“ ესროლეს, არ გამართლდა.

პორტა აცხადებს რომ სოფიიდან მოსული ცნობა, ვითომ ბოლგარელი ემისარი გერასიმე სტრუმიცაში დააპატიმრეს, ტყუილია.

**ორენბურგი.** აქ ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის შენობების საძირკველი ჩაჰყარეს ტურგაის ოლქში.

**კორსოვკა.** მამულ ბოდოლში რეჟიცის მაზრაში, რკინის გზის სადგურ ივანოვკის მახლობლად პროფესორმა ზალესსკიმ აღმოაჩინა ნახშირმჟავ-რკინიანი სამკურნალო წყარო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

### პეტერბურგის ბირჟა 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,95 |
| ბერლინზე 100 მარკაში | — |
| პარიზზე 100 ფრანკში | — |
| ლონდონზე ჩეკები | 94,85 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | $37,67^{1}/_{2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $5—6^{1}/_{2}$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | $98^{3}/_{8}$ გაყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | $100\ ^{3}/_{4}$ მყიდვ |
| $4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $95^{3}/_{8}$ „ |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $435^{1}/_{2}$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ. | $334^{1}/_{2}$ „ |
| 5/0 გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ მამ. ბანკისა | $297^{1}/_{2}$ „ |
| 5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა. | — |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5/0 გირავნ. ფურც. | 91 მყიდვ. |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 199 გაყიდ. |

### მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) **ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:** 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

**ბაქოს:** 1) სწრაფი № 20 (პარტია სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევს 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

**ყარსსა და ერივანს:** 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) **ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) **ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) **ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**შორაპნისაკენ:** დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

# განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო [illegible] (ი—45)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი | — | 20 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პეტრიასი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე. მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეგევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ქუჩაში.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **კაბები** ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა № 12. (ი. 12—7)

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განჯის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 5 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)